ხელშეკრულება №53

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წყალტუბო ,, 2 აგვისტო - 2016 წელი ''

ერთი მხრივ ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების"(შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი მმართველის გიორგი იობიძის სახით და მეორე მხრივ ფიზ.პირი შოთა ცხომელაძე 'ს/კ 53001009874 (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი შოთა ცხომელაძის სახით , ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს¹" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის შესახებ''მე-5 მუხლის ,,ა''ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

კომპიუტერული მომსახურეობები.

კლასიფიკატორის კოდი (72500000)

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 210 (ორასათი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიერად გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1.მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე ვაჟა ფშაველას №1.

6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 2 აგვისტოდან 30 დეკემბრის ჩათვლით..

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მოსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20 (ოც) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს–მაჟორი

10.1ხელშეკრულებას დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების

შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების

შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებბს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრუსლების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლო სსაქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 2 თებერვლამდე.

მხარეთა იურიდიული მისამართები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ,,საბავშვო ბაღების გაერთიანება'' მის: ქ.წყალტუბო, ვაჟა ფშაველას №1 ს/ნ 221281636 ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური 1 *ბანკის კოდი: TRESGE22* 744977509 Tskaltubosbagebi@gmail.com საკონტაქტო ნომერი: 577 37 57 01 .com,,საბავშვო ბაღების გაერთიანებ''-ის	ფიზ.პირი: შოთა ცხომელაძე პ.ნ. 53001009874 ბანკის კოდი: ანგარიშსწორების ანგარიში LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE50LB0711174999
მმართველი: გიორგი ეობიძე	წარმომადგენელი: შოთა ცხომელაძე

შ. ცხომელაძე